საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა შეშფოთებით აკვირდება ქართული ოცნების წარმომადგენლების, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ, პლატფორმის წევრი ორგანიზაციის - „სამოქალაქო იდეა - ინიციატივა დემოკრატიული, ევრო-ატლანტიკური არჩევანისთვის“ კამპანიურ დისკრედიტაციის მცდელობას. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ამ კონტექსტში მმართველი გუნდის წარმომადგენლების მხრიდან ე.წ. ,,აგენტების შესახებ კანონის“ არმიღებაზე წუხილი და აქცენტირება.

მივიჩნევთ, რომ ამგვარი მიდგომა და რიტორიკა, საფრთხეს უქმნის სამოქალაქო სექტორსა და მმართველ გუნდს შორის საჭირო თანამშრომლობას - ევროკავშირიდან საქართველოსთვის 9 დათქმის შესასრულებლად, ასევე ეწინააღდმეგება სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და საქართველოს პარლამენტს შორის გაფორმებულ მნიშვნელოვან თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ევროკავშირის მხრიდან განსაკუთრებულად დადებითად შეფასდა, როგორც კანდიდატობის სტატუსის მინიჭების საკომუნიკაციო დოკუმენტში, ისე სხვა დოკუმენტებსა და მაღალი დონის გამოსვლებში.

მოვუწოდებთ საპარლამენტო უმრავლესობას , არ გადადგას უკუნაბიჯები პოლიტიკურ ძალებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის გზაზე , რაც პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე უკუსვლის.